**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ დ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის**

**სამაგისტრო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“**

1) **პროგრამის სახელწოდება:** ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება
Organization Development and Consulting

2) **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ორგანიზაციის განვითარებაში
Master of Social sciences in Organization Development

3) **პროგრამის მოცულობა კრედიტებით**: 120 კრედიტი

4) **სწავლების ენა** – ქართული;

5) **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,** რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე.

**მიზანი** – პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეიძინონ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების კომპეტენციათა ხუთ ურთიერთდაკავშირებულ სფეროში:

(1) ინდივიდუალური კომპეტენცია: თვითშემეცნება, პროფესიული ქცევა, ეთიკა, განსაკუთრებული ინდივიდუალური რესურსების, საკონსულტაციო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი თვისებების, საკუთარი როლისა და ფუნქციების შეცნობა/განვითარება.

(2) სოციალური კომპეტენცია: უნარ-ჩვევების განვითარება კრიტიკულ სიტუაციებში შესაბამისი, პროფესიული და ავთენტური რეაგირებისათვის.

(3) კოგნიტური კომპეტენცია: თეორიული საფუძვლები ადამიანის ხატის, პიროვნების თეორიების, ორგანიზაციის თეორიების, სოციალური, სასწავლო და საკონსულტაციო პროცესების შესახებ.

(4) ტექნიკური კომპეტენცია: კონცეფციები, მეთოდები, დაგეგმვის პრაქტიკული ტექნიკა, ორგანიზაციებში პროცესუალურ ცვლილებათა განხორციელება და მათი ევალუაცია.

(5) პრაქტიკული კომპეტენცია: პროექტის მენეჯმენტი, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება და გამოცდილების გაცვლა სტუდენტებს ინტერვენციულ უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს, რათა მათ სტრატეგიების პრაქტიკული განხორციელება, ასევე კონკრეტულ სიტუაციებში მეთოდებისა და ტექნიკის მოდიფიცირება შეძლონ.

**6) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის დიპლომი. სასურველია, თუმცა სავალდებულო არ არის სამუშაო გამოცდილების ქონა. გერმანული ან ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე (სერთიფიკატი ან გამოცდა). საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და გასაუბრება.

1. გამოცდა სპეციალობაში - 40 %;
2. გასაუბრება სპეციალობაში - 20 %;
3. გამოცდა უცხო ენაში - 40 %.

**7) სწავლის შედეგი;**

**ა) ცოდნა და გაცნობიერება:** სტუდენტებმა იღრმავებენ ცოდნას ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების სფეროში. აცნობიერებენ მასში არსებულ პრობლემებს. იღებენ უახლოეს მეთოდებზე დამყარებული ცოდნას ორგანიზაციის ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური თუ ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ. სწავლობენ ორგანიზაციის განვითარების ფზებს და მათ გამოყენებას, კონსულტირების მეთოდებს, კვლევის მეთოდებს, რაც აძლევს არსებული ცოდნის სიღრმისეული ანალიზის და არსებული ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას.

**ბ) ცოდნის პრაქტიკაში გაცნობიერების უნარი:**

- კურსდამთავრებულს შეუძლია ორგანიზაციის განვითარების სფეროში დამოუკიდებელი სამუშაოების ჩატარება;
- ფლობს არსებული ცოდნის გაფართოების და ახალი საკონსულტაციო მეთოდების შექმნის შესაძლებლობას;
- აქვს სიტუაციის დამოუკიდებლად გაანალიზების, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების და პრობლემის გადაჭრის უნარი;
- დამოუკიდებლად შეუძლია ნებისმიერ, მათ შორის მრავალპროფილიან ორგანიზაციებში ეფექტური მუშაობა;
- აქვს უნარი იკვლიოს ნებისმიერი ტიპის ორგანიზაცია. უახლესი და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დაადგინოს მათი განვითარების დონე და ჩაუტაროს მათ სრულფასოვანი კონსულტაცია;

**გ) დასკვნის უნარი:** სტუდენტების  შეუძლიათ გარკვევით და დასაბუთებულად წარმოაჩინონ თავიანთი მოსაზრებები ნებისმიერი ინფორმაციის, კვლევის მეთოდებისა თუ კვლევის შედეგების შესახებ. მათ აქვთ უნარი კრიტიკულად გაანალიზონ ორგანიზაციის განვითარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია. შეუძლიათ სხვადასხვა ინფორმაციის და კვლევის მონაცემების ანალიზი და სინთეზი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

**დ) კომუნიკაციის უნარი:**  შეუძლიათ არსებული და ახალი ცოდნის ურთიერთმიმართების დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენა როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საზოგადოებასთან.  მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიებში, როგორც პირადად, ასევე ელექტრონულად.  შეუძლიათ ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ითვალისწინებენ ეთიკის ნორმებსა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს.

**ე) სწავლის უნარი:** უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე აქვთ ახალი იდეების განვითარების უნარი სწავლისა და პროფესიული საქმიანობის პროცესში. აქვთ უნარი გაიაზრონ და აითვისონ ორგანიზაციის განვითარებასთან დაკავშირებული უახლესი ინფორმაცია და კვლევის შედეგები. არიან თვითგანვითარებაზე ორიენტირებულნი და შეუძლიათ პროფესიული სრულყოფის გზების დამოუკიდებლად შემუშავება.

**ვ) ღირებულებები:**

- შეუძლია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა;
- აქვს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასების და პატივისცემის უნარი;
- ფლობს სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის ინტერპერსონალური კომპეტენციებს;
- შეუძლია ორგანიზაციის განვითარებისათვის აუცილებელი ინოვაციების შემოტანა და დანერგვა საქართველოში;

**8) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

- წიგნზე მუშაობა;
- მასალის მიწოდება ახსნა–განმარტებით; დემონსტრირების სახით;
- წერითი მუშაობის მეთოდი,

- როლური და სიტუაციური თამაშები;
- შემთხვევის ანალიზი (case study);
- გუნდური მუშაობა;
- დისკუსია; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;

პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო–კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.

**9) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;**

| ქულები | შეფასება |
|---|---|
| 91-100 | ფრიადი, A |
| 81-90 | ძალიან კარგი, B |
| 71-80 | კარგი, C |
| 61-70 | დამაკმაყოფილებელი, D |
| 51-60 | საკმარისი, E |
| 41-50 | ვერ ჩააბარა, FX |
| 0-40 | ჩაიჭრა, F |

**10) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:** პროფესორი ნოდარ ბელქანია, ფსიქოლოგიის დოქტორი;
პროფესორი ფრიდრიხ გლაზლი (ზალცბურგი, ავსტრია)

**11) დასაქმების სფეროები:** ამ სამაგისტრო პროგრამის მონაწილენი კვალიფიცირდებიან როგორც კონსულტანტები ორგანიზაციის განვითარების და კრიზისის მენეჯმენტის დარგში და შეუძლიათ დასაქმდნენ ნებისმიერ სასწავლო, კვლევით, მომსახურეობით და საწარმოო ორგანიზაციაში, ასევე არასამთავრობო სექტორში ორგანიზაციის განვითარების კონსულტანტად.

**12) დამატებითი ინფორმაცია** : პროგრამის ანალოგები:

Friends University, 2100 W. University St., Wichita KS 67213
http://www.friends.edu/ACADEMICS/degree_detail.asp?id=59

The Johns Hopkins Carey Business School
10 N. Charles Street, Baltimore, MD 21201
http://carey.jhu.edu/mbaod/

The Canadian Organization Development Institute (CODI)
http://odcanada.org/site/aboutus.html

Masters of Science in Organization Development
Central Washington University
400 E. University Way, Ellensburg, WA 98926
http://www.cwu.edu/~msod/

Master of Science in Organization Development
http://bschool.pepperdine.edu/programs/msod/
http://www.nisod.org/

**13) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.**

## პროგრამის სტრუქტურა

**უნივერსიტეტი:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ფაკულტეტი:** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

**მიმართულება:** ინტერდისციპლინური

**სასწავლო პროგრამის სახელწოდება:** ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება

**სწავლების საფეხური:** მაგისტრატურა

**სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფესორი ნოდარ ბელქანია, პროფესორი ფრიდრიხ გლაზლი

**აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:** №57/2011, დანართი 258 (ყოფილი დანართები 234 და 49)

**პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი):** დადგენილება №30/2013 -18 თებერვალი, 2013; დადგენილება №100/2013- 9 სექტემბერი,2013; დადგენილება № 17/2014-19 თებერვალი, 2014; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება № 90/2017 - 25 ივლისი, 2017; დადგენილება №91/2018 - 19 მარტი, 2018; დადგენილება №199/2018 - 13 სექტემბერი, 2018; დადგენილება №25/2019 - 4 მარტი, 2019

**სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):** 2012-2013

| № | სასწავლო კურსის დასახელება | კრედიტების რაოდენობა (ECTS) | სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში | | სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში | საგამოცდო საათი | საგნის სტატუსი | საგანზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | | | ლექტორი/ ლექტორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ლექცია | სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი | | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | |
| **სავალდებულო - 105 კრედიტი; არჩევითი - 10 კრედიტი; თავისუფალი - 5 კრედიტი.** | | | | | | | | | | | | | |
| 1 | ორგანიზაციის თეორია I | 5 | 15 | 30 | 73 | 7 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ნოდარ ბელქანია |
| 2 | საკონსულტაციო საუბრები, Coaching 1 (ინტენსიური კურსი) | 5 | 15 | 26 | 80 | 4 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | იოჰან ნარბესჰუბერი |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ჯგუფის დინამიკა | 5 | 15 | 30 | 75 | 5 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | რევაზ ჯორბენაძე |
| 4 | სოციალური კონფლიქტები I (ინტენსიური კურსი) | 5 | 15 | 26 | 80 | 4 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ფრიდრიხ გლაზლი |
| 5 | სოციალური კონფლიქტები II (ინტენსიური კურსი) | 5 | 15 | 26 | 80 | 4 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ფრიდრიხ  გლაზლი |
| 6 | ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია | 5 | 15 | 30 | 73 | 7 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ნოდარ ბელქანია |
| 7 | ბიოგრაფიკა | 5 | 15 | 30 | 73 | 7 | არჩევითი | არ გააჩნია | | | | | ნოდარ  ბელქანია |
| 8 | ორგანიზაციის  კონსულტირების * სამართლებრივი საფუძვლები | 5 | 15 | 30 | 76 | 4 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | გვანცა  ბარაბაძე |
| 9 | ორგანიზაციის თეორია II | 5 | 15 | 26 | 80 | 4 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ფრიდრიხ გლაზლი<br>ნოდარ ბელქანია |
| 10 | ორგანიზაციის განვითარება  I (ინტენსიური კურსი) | 5 | 15 | 26 | 80 | 4 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ოლივერ მარტინი |
| 11 | ორგანიზაციის განვითარება II (ინტენსიური კურსი) | 5 | 15 | 26 | 80 | 4 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ედოარდო გიდელი |
| 12 | საკონსულტაციო საუბრები, Coaching  2 (ინტენსიური კურსი) | 5 | 15 | 26 | 80 | 4 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ერიკა ბერგნერი |
| 13 | ორგანიზაციის კონსულტირება არაკომერციულ ორგანიზაციებში | 5 | 15 | 30 | 75 | 5 | არჩევითი | არ გააჩნია | | | | | ნოდარ  სარჯველაძე |
| 14 | პროექტის ციკლის მართვა | 5 | 15 | 30 | 74 | 6 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ირინა ფრუიძე |
| 15 | სოციალური კვლევის მეთოდები | 5 | 15 | 15 | 91 | 4 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | თეონა მატარაძე |
| 16 | ბაზარზე ორიენტირებული ორგანიზაციის განვითარება (ინტენსიური კურსი) | 5 | 15 | 26 | 80 | 4 | არჩევითი | არ გააჩნია | | | | | გიუნტერ კარნერი |
| 17 | ადამიანური რესურსების განვითარება | 5 | 15 | 30 | 73 | 7 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ია წულაია |
| 18 | SPSS | 5 | 15 | 15 | 88 | 7 | არჩევითი | არ გააჩნია | | | | | ივანე კეჭაყმაძე |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19 | კონსულტირების ფილოსოფიური და ეთიკური საფუძვლები (ინტენსიური კურსი) | 5 | 15 | 26 | 80 | 4 | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | | ფრიდრიხ გლაზლი; ნოდარ ბელქანია |
| 20 | ლიდერობა (ინტენსიური კურსი) | 5 | 15 | 26 | 80 | 4 | არჩევითი | არ გააჩნია | | | | | ცირილ ჰერინგი |
| 21 | მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება | 5 | 15 | 30 | 76 | 4 | არჩევითი | არ გააჩნია | | | | | ფრიდრიხ გლაზლი |
| 22 | ინტერპერსონალური კომუნიკაციის პრაქტიკა | 5 | 15 | 30 | 73 | 7 | არჩევითი | ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია | | | | | ნოდარ ბელქანია |
| 23 | თავისუფალი კრედიტი | 5 | | | | | | | | | | | |
| 24 | სამაგისტრო ნაშრომი | 30 | | | | | სავალდებულო | | | | | | |

* **ამოქმედდეს 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან** (კურსი სავალდებულოდ არ ეთვლება პროგრამაზე 2018 წლამდე ჩარიცხულ სტუდენტებს)

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი